# სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:
გაგზავნით თფილისში გაუგზავნელათ:
და გარეშე ადგილებში:
ერთის წლისა — 4 მან. — 3
ნახევრის წლისა — 3 — — 2
სამის თვისა — 1 მ. 50 კ. — 1 მ.

მესამე წელიწადი

გამოდის შაბათობით

ხელის-მოწერა მიიღება.
თფილისის «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и К°).

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხების დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თფილისში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ). სტამბაში.

№ 22 შაბათი 11 41 ნოემბერი, 1870 წ.

შინაარსი:

— შინაური ამბები. — რაიქნება ღმერთმა იცის. — ხარ-კამბეჩის მაგიერათ ცხენებით მუშაობა. სხვა-დასხვა ამბავი, — თურქისტანში ბამბის და ყურძნის გაშენება. მოზელის მეპატრონის ანდერძი — კოსენარდის ჯიშის ცხვარი საფრანგეთში.

## შინაური ამბები

ზემო-ქართლიდგან წელს ცუდს ამბებს იწერებიან მოსავალზე. შარშან სოფლელებს ძალიან ადრე შემოაკლდათ ნამუშევარი, ასე რომ გამოზაფხულზე ალაგ-ალაგ სწორეთ შიმშილობის დროები დადგენ. ამას თვითონ ახალ მოსავალზედაც ჰქონია გავლენა. მაგალითად გალოობაზე ერთი კოდი პური ოთხ მანეთად გამხდარა. ამ ჟამათ ქერიც თითქმის იმ ფასათ არის თურმე. პურისა და სიმინდით ფასში გარჩევა არ არის.

* * *

როგორც ხორბლის მოსავალს ვენახებსაც ცუდი ამინდი დასდგომია. შემოდგომამდის ყველას დიდი იმედი ჰქონია ღვინის მოსავლისა, მაგრამ ადრიანს სიცივეს ყურძენი აღარ დაუმწიფებია: ალაგ-ალაგ კიდეც მოუწვავს, ისე რომ რაც შარშან მოსულა, წელს იმის ნახევარი გამოსავალიც არ ჰქონია.

---

— რაჭიდგან იწერებიან, რომ ბუგეულის ხიდი ჩაქცეულა. ეს ხიდი იყო რიონზე გაკეთებული და ქუთაისიდგან რაჭას მიმავალი ფოჩტა ამ ხიდის მეტად სხვაგან ვერსად გავა, თუ თვითონ ქუთაისიდგანვე მეორე გზით არ წავიდა ნაქერალას მთის გადასავალზე, რომელიც მეტად საძნელოა, განსაკუთრებით ზამთარში.

## რაიქნება ღმერთმა იცის

ამ ჟამათ ჩვენი სოფლელი ერის ცხოვრება რომ განვიხილოთ, მოვთვალოთ იმის ღონის-ძიება, მუშაობის ცოდნა, იმის სამუშაო იარაღები, თავის დამფარავი ოსტატობა ვაჭრის მოტყუებისგან და წართმევისგან, იმის მცხოვრებელი მასალების მოუხმარებლობა, სწორეთ უიმედობისა და მწუხარების მეტს არას გაუღვიძებს კაცს გულში ეს სურათი. ამის მნახველი იტყვის: ახლა რომ ასე გაჭირებით მიჰყავს სოფლელს თავისი ცხოვრება, მომავალში, როცა კიდევ უფრო დიდი გაჭირება მიელის, მაშინ რაღა უნდა ქმნას, როგორ შეიძლოს უფრო ძნელი გარემოების მოხმარება თავის საკეთილდღეოთ. ის ახლაც არაქათ წართმეულია, თორემ მომავალში რაღას გააწყობს იმ საშუალებით, რაც ხელში უჭირავს. უკეთეს საშუალებას მოიპოვებსო-მეტყუვის მკითხველი. — «სახარე ხბოსა, საკორეში შეეტყობაო» — არის ნათქვამი. მაგის იმედი რომ იყოს, ცოტა რამ ახლაც უნდა კეთდებოდეს, მაგრამ კაი შენს მტერს.

* * *

მაგალითებზე შორს აღარ წავალ. წარსულს კვირაში «დროებაში» წავიკითხე ერთი ამბავი ქართლიდგან, რომელიც ცხადათ გვიხატავს, რამდენათ გაჭირებულია ჩვენი სოფლელი ერის ახლანდელი მდგომარეობა და კიდევ უფრო უიმედო მომავალში. ცუდი წლების გახშირება და იმასთან ქვემოხსენებული ამბავი ვის არ შეარყევს. რაც რამ ცუდი ამინდისგან გადარჩენილა, ის რომ მაინც სულ ხელში რჩებოდეს გაჭირებულს სოფლელს კიდევ კარგი; — «მაგრამ ესეც რომ ასე არ არისო? — ამბობს «დროების» კორრესპონდენტი — მეტადრე გორის, სურამის, ცხინვალის გარშემო სოფლებში, იმ სოფლებში, რომელნიც სავაჭრო ადგილების ახლოს მდებარებენ.

* * *

საწყალი და უცოდინარი გლეხები ნისიათ ერთი-სამათ იღებენ დამპალ და წამხდარს საქონელს, ვისაც გაჭირება ადგია, და ვის არ

ადგია გაჭირება, იღებს ფულსა და დიდს სარგებელს აძლევს ფულით, ან მოსავლით. სხვა არა ვთქვა, ყველგან გლეხები თუმანზე სარგებელს ორ კოკა ღვინოს აძლევენ ან რვა ფუთ ხორბალსა. ამ სახით გადაუხდელ ვალებში ვარდებიან: ფულის პატრონები კალოობას და სთვლობას ესევიან მოკალეს და მთელი მოსავალი იმათ მიაქვთ. ერთ პატარა სოფლიდგან მარტო ექვსმა გორის ვაჭარმა ათას რვაასი (ქალაქის) ფუთი ხორბალი გამოიტანა და ახლა სხვებმა რამდენი ქერი და ღვინო გაიტანეს ღმერთმა იცის? ამავე სოფლის ერთ აშენებულ გლეხს, დიდის სახნავ-სათესის პატრონს, ერთი მარცვალი ქერიც არ რჩება.

გლეხების ამ გვარი მდგომარეობის მიზეზი რომ სავაჭრო ადგილებთან ახლო ყოფნაა; ამას იმით დავამტკიცებთ, რომ სავაჭრო ქალაქის და სოფლის მოშორებით მდებარე სოფლები უფრო უვალოთა ცხოვრობენ და ისე გაჭირებულებიც არ არიან. სოფელს ხიდისთავს, როდესაც გორთან ადვილი სავალი გზა არა ჰქონდა და ნავ-ტიკებით უნდა გასულიყვნენ და ფოსტის გზა ლიახვზე მიდიოდა, იმ დროებში ხიდისთაველებს ვალები ცოტა ჰქონდათ; რუისელების სულ კი გორელებს ხელში ეჭირათ. ეხლა რუისი თანდათან თავის გაჭირებულ მდგომარეობიდგან გამოდის, და ხიდისთავის თითქმის სულ-ერთიანათ ვენახები და ზოგი სახნავ-სათესი მიწები გორელებს გირაოთ უჭირავთ და ბევრი იმათ საკუთრებადაც გამხდარა.

ათასში ერთი მებატონე არ იქნება, რომ ამავე მდგომარეობაში არ იყოს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ვალებს გარდა პრიკაზის ვალებიც აწევთ, თუნდა რომ სავაჭრო ადგილიდგანაც შორს იყვნენ. ამასვე დაუმატოთ გონივრული მეურნეობის სწავლის უცოდინარობა, უსწავლელობა და ამის გამოთ მიწის მომცემი ღონის მოკლება, მამა-პაპური გუთანი და კალო, შენახვა და გადატან-გადმოტანა მოსავლისა და ეს ყველა რომ მოგაგონდებათ, მაშინ ადვილათ წარმოიდგენთ ქართლის ხალხის, დიდისა და პატარას დარიბულის და უბადრუკის ცხოვრების მიზეზსა».

---

## ხარ-კამბეჩის მაგიერათ ცხენებით მუშაობა

ერთი სწავლული მეოჯახე სამხრეთის რუსეთში. სადაც ხარებით მუშაობენ ყანებს, ამტკიცებს, რომ ბევრათ სასარგებლო არისო ხარების მაგიერათ ცხენებით დაიწყონო მუშაობა. რადგან ჩვენს ქვეყანაშიაც ძალიან სარგებლობას მისცემს ოჯახობას, რომ ხარების მაგიერათ ცხენებით დაიწყებდენ მუშაობას, ამისთვის გადმოვსწერთ იმ სწავლული რუსის სჯას და საბუთებს, რომელიც მოჰყავს თავის აზრის დასამტკიცებლათ.

*
* *

«ავიღოთ, მაგალითად-ამბობს ის სწავლული მეოჯახე-საშუალო ოჯახობა, სადაც მხოლოდ ხუთი გუთნით მუშაობენ. ვთქვათ გუთანიც რომ ევროპული ავიღოთ, თითოს უკანასკნელი სამ-სამი უღელი ხარი მაინც დასჭირდება, მაშ ხუთ გუთანს თუთხმეტი უღელი. ახლანდელი ფასით რომ ვიანგარიშოთ ერთი უღელი რიგიანი ხარები ცხრა თუმან ნაკლებ არ იშოვება, მაშ ხუთმეტი* უღელი ას ოცდა თხუთმეტ თუმნათ ეღირება. თითო გუთნისთვის წელიწადში დასჭირდება ოცდა-ხუთმეტი თუმანი, თითო გუთნის მეხრეს უკანასკნელი სამი-თუმანი უნდა მისცე წელიწადში; მაშ ხუთ მეხრეს მოსდომებია თუთხმეტი თუმანი. სულ ხუთი გუთნის მუშაობას ას-ოთხმოცდა ხუთი თუმანი ხარჯი მოსდომებია ყოველ წელს.

*
* *

ყველამ ვიცით, რომ ცხენით მუშაობა თუ ორჯერ უფრო ჩქარა არ მიდის ხარისაზე. სამი ცხენი, ხუთ უღელს ხარს ყოველთვის აჯობებს. თუმცა ცხენები გაძვირდენ, მაგრამ რიგიან სამუშაო ცხენს სამ-თუმნათ ყოველთვის იყიდის კაცი; თვრამეტს ცხენს მოსდომებია ორმოცდა თოთხმეტი თუმანი და სამს მეხრეზე ცხრა-თუმანი, სულ წელიწადში ცხენით მუშაობას მოუნდება ოთხმოცდა-ოთხი თუმანი: მაშ ხარების-მაგიერათ ცხენით რომ იმუშაოს ხუთი გუთნის პატრონმა მეოჯახემ წელიწადში გადარჩება ხოლმე ას-ათი თუმანი. ოთხი კაცის რჩენაც რომ მოუმატოთ ამ ფულს, რომელიც აღარ ეხარჯება მეოჯახეს, მაშინ ეკონომია კიდევ უფრო მეტი იქნება. ამ ეკონომიის გარდა გალეწვის დროს, ხომ [illegible] ის ცხენები თავისი მუშებით დაიწყებენ მუშაობას, მაშ აქაც ბევრი მომეტებული ხარჯი ენახება მეოჯახეს.

*
* *

სულ ესეები რომ მოვისაზროთ, დავრწმუნდებით, რომ ძალიან დიდი სარგებლობა მიეცემა ახლანდელს ჩვენს ოჯახობას, ხარების მაგიერათ რომ ცხენებით დავიწყებდეთ მუშაობას. ამას გარდა ცხენით მუშაობა ნახევარზე მომეტებულს ხარჯს გვიკლებს და ამ ეკონომიით შეიძლებოდა საუკეთესო ევროპიული მიწის სამუშაო იარაღები გვეყიდნა.

*
* *

როცა ჭირნახულის წაღება დაგვჭირდება შორის გზით, ქალაქებში გასასყიდათ ცხენით მუშაობის სარგებლობა კიდევ უფრო ცხადათ დაინახება: ვთქვათ ცხენები უფრო ჩქარა მიდიან, მაგრამ იმდენსაც ვერ წაიღებენ ერთბაშათ, და მაშინ ხომ როცა დაიცლებიან ცხენებით ორჯელ უფრო ჩქარა დაბრუნდებიან, ვინამც ხარ-ურმითა. ზამთრით განსაკუთრებით ჩვენშიო — ამბობს რუსეთის მეოჯახე-სადაც დიდი ყინვები და სიცივეები იციან ხარები სწორეთ უქმათაც რჩებიან, გარეთ თუ გამოიყვანე. მაშინვე სიცივე მოუჭერს და დაიხოცებიანო; ცხენებს კი რაც უნდა დიდი ზამთარი იყოს, სიცივის ფიქრი არა აქვთო, ზამთარშიაც ისე იმუშავებენ, როგორც ზაფხულშიო. გარდა იმისა რომ ზამთარშიაც ქირით სარგებლობას აძლევენ პატრონს, იმდენს იგებენ, თვითონაც იკვებებიანო.

*
* *

სანამდის ზამთარში კარგი ამინდები დადგებოდეს, ჭირნახული, რომ ხარ-ურმით ქალაქს გავგზავნოთ გასასყიდათ მინამდის ის მოვიდოდეს, ნემენცი თავის ცხენებით სამჯერ წავა და მოვა. ამას გარდა სად ოცდა-ათი ხარის რჩენა და სად თვრამეტი ცხენისა. სულ რომ ცოტა ვთქვათ ერთ ნახევარზე მომეტებულათ ჯდება ხარების კვება.

*
* *

ერთი დიდი მიზეზი კიდევ უნდა მოვიხსენოთ რომლის გამოისობით მეტად საჭიროა ხარების შეცვლა ცხენებზე. ყოველ მე-

სამე წელიწადს საქონლის ჭირი რომ არ გაჩნდეს, არ შეიძლება და ეს ავათ-მყოფობა იმდენს ზარალს აძლევს მეოჯახეს, რომ რაც უნდა შეძლებული იყოს, ხელს ვეღარ მოიცვლის.

* * *

დღეს ჭქონია მუშაობის დონე, რომელიც გარგა მალ ფულათ მოუპოვების, ხვალ კი ჭირისაგან საქონელი აღარ ჰყავს მეოჯახეს და აღარც ფული აქვს, რომ ისევ იყიდოს ამსახით რაც უნდა ხელ-გაწყობილი ოჯახობა, იყოს ამისთანა შემთხვევა ერთბაშათ ჩააგდებს კაცს გაჭირებაში. ამას გარდა, აი, კიდევ რა არის: საქონელს ხშირათ ემართება თურქული, რომლის გამო უსივდება პირი, ფეხები. ეს ავათ-მყოფობა აჩერებს მუშაობას, ამიტომ რომ საქონელი მუშაობისთვის აღარ ვარგობს, სანამდის არ მორჩება. ამ სახით მეოჯახე გაცხარებულ მუშაობის დროს გაზაფხულზე და შემოდგომაზე უნდა დარჩეს ხელ-გულ დაკრეფილი. ცხენებს ამისთანა ხშირი და გადამდები ავათ-მყოფობა არ ემართებათ: იმათშიაც კი არის ხოლმე სახარალო ავათ-მყოფობა, მაგრამ სად საქონლისა და სად იმათი. ამას გარდა ცხენის წამლობა უფრო ადვილია საქონლისაზე.

* * *

მიუცილებელათ უნდა გამოვიკვლიოთ, რა მიზეზია რომ აქამდის ცხენით მუშაობას ამჯობინებენ ხარებით მუშაობას. იქნება ხარები უფრო ბევრს სიმძიმეს ატარებენო და იმისთვის. მაგრამ პოდოლის გუბერნიის გლეხების და ნემცების პოვოზკები რომ გაშინჯოს კაცმა რასაც ხარებით ზიდვენ ჩვენში, ცხენის პოვოზკაზე თუ მეტი უდევს, თორემ ნაკლები არა და წასვლა-მოსვლაში კი ნემცები და პოდოლის გუბერნიის გლეხები, სანამდის ჩვენებური გლეხები ხარ-ურმით ერთ გზას გაივლიდენ, ცხენებით ორჯერ წავლენ და მოვლენ. აქედგან სჩანს, რომ თუ ჩვენში ხარებს თავს არ ანებებენ და ცხენებით მუშაობას არ იწყებენ, ამის მიზეზი ჩვეულობის მეტი არა არის რა. როგორც ჩვენი მამა-პაპები აკეთებდენ, ჩვენც ისე გვინდა ვაკეთოთ და ბევრი ზარალიც რომ გვემლეოდეს ამითი, გზის გამოცვლა მაინც ძალიან გვიჭირს. მაგრამ უწინ სანამდის ბატონ-ყმობა იყო, მაგდენათ შრომას არაფრათ ფასობდა და რაც უნდა ზარალის მომცემი მუშაობა ყოფილ იყო, მებატონეებს მაინც ყოველფერი უზრუნველათ მოსდიოდათ და ოჯახობის გაუმჯობესობას თავს მაგდენათ არავის ატკივებდა, ახლა როდესაც ყოველი კაცი თავის შრომის შემჩერეა, უეჭველათ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ საუკეთესო საშუალებებს, რომლებითაც შეგვიძლიან უფრო ბევრი ნაწარმოები შევიძინოთ. ამისგამო ძველი გზის მიხედვა არას გვარგია. ახლა იმას უნდა მივხედოთ, რაც უფრო სასარგებლო იქნება ჩვენთვის და იმის და გვარათ თან-და-თან უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი ოჯახობის საშუალება.

* * *

რაც ზემოთ ვილაპარაკეთ, იმისგამო იქნება ბევრმა იფიქროს, რომ ჩვენ ვურჩევდით საქონლის შენებას, სულ თავი დაანებეთო და იმის მაგიერათ ცხენები იყოლიეთო. სრულებითაც არა. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ მუშაობაში ხარების მაგიერათ ცხენები იყოლიონ; ვისაც იმდენი საბალახო მიწები აქვს, რომ შეუძლიან საქონლის გაშენება, მოზვრები რომ აშენოს დასაკლავათ ჰყიდოს სახარე მაგიერათ, არამც თუ წააგებს, კიდეც მოიგებს, ამიტომ რომ მუშაობით გალახულს ხარში იმდენს არ მისცემენ, რამდენსაც გაუხედნელს მოზვერში.

* * *

რქიანი საქონელი უფრო რიგია ჩვენ საზრდოთ დარჩეს, ვიდრე სამუშაოთ ვიხმაროთ. ამ ჟამათ ძალიან ბევრი საქონლისსავაჭრო ბაზრები გამართა რუსეთში, მაშ-ის არ ემჯობინება რაც შეიძლება, მომეტებული ვისარგებლოთ იმითი.

* * *

მაგრამ წინათვე ვიცით, რომ ამ ჩვენს რჩევას წინააღმდეგათ გაუხდებიან და შემდეგ საბუთებს წარმოგვიდგენენ დასამტკიცებლათ.

* * *

ცხენებს საკვებ თ მარტო თივა არ ჰყოფნისთ, იმათ ქერი, სიმინდი; და სხვა მარცვალეული საზდოც უნდებათ, მაშინ როდესაც ხარებს თივის მეტი არა უნდათრა. მართალია მუშაობის დროს ცხენი მარცვალით უნდა ჰკვებოს კაცმა. მაგრამ რომ გამოვიანგარიშოთ მაგალითად ხუთ-გუთანზე თუ ცხენები ეყოლა მეოჯახეს, თორმეტი ხარის საკვები [illegible] რჩება და ეს საკვები რომ ფულათ აქციოს კაცმა იმისი მარცვლით იმდენი მარცვლის საკვები მოვა, რომ თვრამეტს კი არა, ოცს ცხენსაც გაჰკვებს, ამას გარდა თუ მარცვლით ჰკვებეს ცხენები, თივა იმდენი აღარ უნდებათ, რამდენსაც ხარები ინდომებენ და, აი, ესეც დიდი მოგებაა!

* * *

ამას გარდა ოჯახობაში რომ მარცვლებიც ბევრი არ დასჭირდეს საკვებათ, მაგალითად პურს რომ გორვალა ერევა, იმას გამოჰკრეფენ, ფქვავენ, შიგ გაურევენ ცოტა ქერის ფქვილს და ურევენ დაჭრილ-თივაში. ამისთანა საკვებს ძალიან სიამოვნებით სჭამენ ცხენები და თუ ძალიან დიდ ჯაფაში არ არიან, ცხენები კიდეც სუქდებიან.

* * *

ახლა ესეც უნდა ვიკითხოთ საკვების ნაკლებობის წელს, რამდენათ უფრო ადვილია ცხენის შენახვა ხარებზე. გამოსაფხულზე, რომელიც ზოგჯერ თებერვალიდგან იწყება, ცხენები მაშინვე ნედლზე დაიწყებენ ძოვას, მაშინ როდესაც ხარი მაისამდის ხმელ საკვებზე უნდა ამყოფო.

* * *

სამუშაო ხარის ფასი ყოველ წლობით მატულობს, მაშინ როდესაც ცხენის ფასი თან და-თან კლებულობსო. ეს მართალია, მაგრამ სანამდის ცხენი პატრონსა ჰყავს, იმდენს სარგებლობას მოაცდენინებს, რომ სრულებით შეავსებს იმ ზარალს, რომელსაც გამოსცდის ხოლმე მეოჯახე ცხენის გაყიდვის დროს, მაგრამ ამ სთანავე ნურც იმას დავივიწყებთ, რამდენს ზარალს გამოსცდის საქონლის მეპატრონე ჭირიანობის დროს.

* * *

სამწუხაროთ ყველაზე უფრო საყურადღებო მიზეზი, რომლისგამო ოჯახის მეპატრონენი ვერ ბედვენ ცხენების ყოლას, ცხენის ქურდობაა. სოფლის ოჯახობას აწევს მთელი სახელმწიფო გადასახადი და საუბედუროთ განსაკუთრებით ამ ოჯახობას ეძლევა ზარალი ცხენის ქურდობისაგან. კანონი კი ადვილათ ეკიდება იმათ, ვინც აქცევს და ხელს უშლის ამ ოჯახობას. ძველი წესით ძნელი იყო ცხე-

ნის ქურდის გამოტყუება, ისე რომ ჩასომდენ სატუსაღოში, ამყოფებდენ რამდენსამე ხანს და გამოუშვებდენ. იმ კუთხის დასაქცევათ, რომელსაც წინათ აქცევდა ცხენების პარვით. წინათ ეს მაინც იყო, რომ თუ სოფელში სამი თუმნის რამე დაიკარგებოდა და დასწამებდენ, რომელსამე სოფელს შეემლო ეთხოვნა მთავრობისათვის იმ კაცის გადასახლება და გადაასახლებდენ. ახლა წესით თუმცა უფრო იკვლევენ, ქურდი ვინ არის, მაგრამ იმის გადასახლებისთვის ოცდა-ათი თუმნის ნაქურდალი უნდა შეამჩნიონ და ქურდი არც ეგრე უგნურია, რომ ერთ ბაშათ იკისროს ამდენის მოპარვა. ის თითო-თითო ცხენის პარვას დაიწყებს და რამდენიმე ხნის განმავლობაში სულ გააწყობს სოფელს ცხენებისგან და სოფელს მაინც დონე არ ექნება ახლანდელი წესით ავაზაკი გადაასახლებინოს. და თუ გლეხს ცხენი დაეკარგა ხელი უნდა დაიკრიფოს და დაჯდეს შინ უსაქმოთ. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ გლეხებმა თან-და-თან იწყეს ამ ბოლოს დროს ხარების მაგიერათ ცხენებით მუშაობა. ამის მიზეზი უფრო საბალახოების უქონლობა და ზემოხსენებული სარგებლობაც, მაგრამ უფრო ნამდვილი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ამ ჟამათ გლეხებს აღარ ართმევენ ცხენებს სახელმწიფო მოხელე კაცების წასაყვან-წამოსაყვანათ. უწინ უფრო ეს უკანასკნელი წესი იყო მიზეზათ, რომ გლეხები ცხენებს არ უიდულობდენ სამუშაოთ; არ დაგვიყენებენო და რათ გვინდა რომ ვიყიდოთო—ამბობდენ ისინი.

## სხვა და სხვა ამბავი

— თურქისტანის უწყებაში სწერია, რომ ტაშკენტში მოვიდაო უ. რაევსკი, რომელიც ამ უკანასკნელს ჟამს ბევრს ქადაგობს ბამბის მოყვანაზე თურქისტანის მაზრაში და საშუალო აზიის სახელმწიფოებში. უფ. რაევსკი თურქისტანს წავიდა სახელმწიფო სამსახურში და უნდა თავისუფალი დრო ბამბის გაშენებას და იმის მოყვანის გაუმჯობესობას მოანდომოს, იმის განზრახვა დიდი ხნიდგან სულ ის არის, რომ ამ მხარეში გაახინოს ბამბა, რომ ამერიკიდგან და ეგვიპტიდგან იმის მოტანა აღარ დასჭირდესთ. ამ განზრახვით რაევსკიმ დაიბარა ამერიკიდგან სამას-ორმოცდა ათი ფუთი ბამბის თესლი საუკეთესო გვარისა, რომელსაც მალე მიიღებს.

* * *

ამას გარდა რადგან უ. რაევსკის ყირიმში კარგა მალი ვენახები აქვს და ბევრს ღვინოსაც აყენებს, ამისთვის ის ცდილობს თურქისტანშიაც გააშენოს ვენახი და ასწავლოს იქაურს მცოვრებლებს ღვინის დაყენება. ამ განზრახვით იმან თან მოიყვანა ყირიმიდგან ღვინის დამყენებელი და ექვსასი ვაზი, რომელიც დარგო ერთს ბაღში ტაშკენტის ქალაქს გარეთ.

* * *

შესანიშნავია, რომ თებერვალს დარგული ვაზი კიდეც მოუტანიათ პეტერბურგს და ისევ უკან წაუღიათ, მაგრამ მაინც არა გასჭირებია, არ წამხდარა, იმისთვის რომ კარგათ უფილა გახვეული და კარგი მოვლაც ჰქონია გზაზე. ტაშკენტში დარგულ ვაზებმა კიდეც გაიდგეს ფესვი და გამოიღეს ფოთოლი, თუმცა იმათი დარგვის დრო მარტი და აპრილი დიდი ხანია გავიდა. რაევსკიმ დარგო შემდეგი ღვინის გვარი ვაზები: ლაფიტი (სამასი ძირი), სოტერნი (სამასი), მუსკატფრონტინიაკისა (ასასი), ალიკანტის მუსკატი (სამასი ძირი), მადერა (სამასი ძირი), შასელა. დეფონტენებლო (ას ორმოცდა ათი ძირი).

* * *

— სანამდის პრუსიელები შემოადგებოდენ მეცის ქალაქს, იქ მოკვდა ერთი კაცი სახელათ ლადუსეტი და მოზელის მაზრას დაუტოვა ოთხმოცდა ათი დესეტინა ტყე, იმ განზრახვით, რომ არასოდეს არ მოიჭრას, მაგრამ იქიდგან შემოსავალმა უნდა გამოიხსნას სალდათობისაგან იმ გლეხის შვილი, რომელსაც პირველი ჯილდო მიუღია მიწის მუშაობისათვის. სალდათობისგან დასახსნელი ფული მშვიდობიანობის დროს სამი-ათასი ფრანკია. ამასთანავე ჯილდოს დამაარსებელი თავის პირობებს სდებს: ჯილდოს მიმღებელი უეჭველათ მოზელის მაზრის მცხოვრები უნდა იყოს და მუდამ იქ ცხოვრობდეს, ამასთანავე ის უნდა იყოს კანონიერი შვილი სოფლის მუშა კაცისა, რომელიც ყოფილა პატიოსანი და კარგი ზნისა. ამას გარდა დაჯილდოებულმა ათი წლის განმავლობაში არ უნდა დაანებოს თავი მიწის მუშაობასა, თუ მიწის მომუშავე ვერ აასრულებს ამ მოთხოვნილებას, მაშინ ის მეორე ჯილდოს მიღებით განთავისუფლდება სალდათობისაგან და თუ მაშინაც არ აასრულა, მაშინ იმის მისაცემი ხვედრი ფული თავნათ იქცევა და მეორეთ ჯილდოს მიების დრომდის გადაიდება.

* * *

## ვოსენარდის ჯიშის ცხვარი

— მატყლის ფასის დაცემა ყოველ ქვეყანაში საგრძნობელი შეიქნა, ასე გაშინჯე სამხრეთის ამერიკაში რომ არგენტინის რესპუბლიკა არის, იქაც კი იგრძნეს. ერთს ფრანცუზულს სამეურნეო ჟურნალში სწერენ ამერიკიდგან, რომ მეტი არ შეიძლება ისე სამწუხაროთ დაეცა ცხვრის შენება ჩვენს ქვეყანაში იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს ჟამს მატყლის ფასი დაეცა ევროპის ბაზრებზეო. სამხრეთის ამერიკის სახელმწიფოებში ბევრათ უფრო გაჭირებულს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ევროპელნი მეპატრონენი, ამიტომ რომ ევროპელებმა, თუ მატყლისთვის არა, საკლავათ რომ აშენონ, მაინც კარგს სარგებლობას ნახვენ, მაშინ როდესაც სამხრეთის ამერიკაში რაკი მატყლის ფასი დაეცა, ცხვრის მეპატრონენი ზიან ხელ-გულ დაკრეფილნი, ერთად ერთი რიგიანი ვაჭრობა მატყლით ჰქონდა და ახლა ესეც მოუშალათ. რა სარგებლობა უნდა მისცეს იქ ცხვარმა მეპატრონეს, საცა ხარიც მხოლოდ ტყავისთვის და ქონისთვის და რქებისთვის ფასობს. ზემოხსენებული ამერიკელი თოთხმეტი ათასი დიდი თავი პირუტყვის პატრონია და ორმოცი ათასი თავი ცხვრისა. ორი წლის განმავლობაში ამ კაცმა იზარალა ექვსასი ათასი ფრანკი, რადგან იმის ცხვრები, როცა მატყლი რიგიანათ ფასობდა, თითო ღირდა თოთხმეტ ფრანკათ და ახლა ერთ ფრანკათ მეტათ არა ღირს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Ноября, 1870 г. დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.